ხელშეკრულება #02/10/72

ქ. თბილისი 07 ოქტომბერი 2014წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ თორდინავას სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ”-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი”) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ავტოსადგომის მომსახურებები (CPV 98351100). KIA I20 სახელმწიფო ნომრით BBU820, 6 (ექვსი) თვით პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 1 (ერთი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის 6 (ექვსი) თვით პარკირების საფასური შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის” ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი 6 (ექვსი) თვის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით,

უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს თანამშრომელი დავით ძოწენიძე.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო"

საიდენტიფიკაციო კოდი 404905475

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 30

ტელ: 2315667

სს „ლიბერთი ბანკი" ც/ფ

ბანკის კოდი: LBRTGE22

ანგარიშის № GE48LB0115140326331000

დირექტორი

თ. თორდინავა

„მიმწოდებელი"

შპს „სი-ტი პარკ"

საიდენტიფიკაციო კოდი 204543770

ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47

ტელ: 2555123

სს „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ

ბანკის კოდი: REPLGE22

ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45

გენერალურ მენეჯერი

ბ. ლაჰავ